

სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა - ესპანეთის პრაქტიკა

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მსგავსად, ესპანეთში სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა ეყრდნობა სამ ფუნდამენტურ უფლებას: საჯარო ხელმისაწვდომობა, პირად მონაცემთა ხელშეუხებლობა და გამოხატვის თავისუფლება. ეს სამი ღირებულება დაცულია ესპანეთის შესაბამისი კანონებით: ესპანეთის კონსტიტუცია (18, 20, 24, 120-ე მუხლები), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (რომლის წევრიც არის ესპანეთი 1986 წლიდან, მუხლები: 7, 8, 11, 47). ნახსენებ სამ პრინციპს შორის ბალანსის მიღწევის კუთხით განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყანაში სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობის კონკრეტული ასპექტები. ამ მხრივ, ესპანეთის კანონმდებლობა და პრეცედენტული სამართალი ჯერ-ჯერობით არ არის განვითარებული იმ დონეზე, რომ შესაძლებელი იყოს ნახსენებ სამ პრინციპს შორის მკვეთრი ზღვრის გავლება სასამართლო გადაწყვეტილებების განსაჯაროების პროცესში.¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან მიმართებაში არ არის ერთგვაროვანი და ხშირ შემთხვევაში ესპანეთის სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებზე მიმართული გადაწყვეტილებები.

ესპანეთის კონსტიტუციაში (1987) არის სპეციალური მუხლი (120), რომლის მიხედვითაც მოითხოვება სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა.² კერძოდ მუხლი 120 ადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა იყოს საჯარო, გარდა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა; მართლმსაჯულება უნდა წარმართოს უპირატესად ზეპირი გზით, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში და სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა იყოს არგუმენტირებული და შესაბამისად, გადაწყვეტილებები უნდა იყოს საჯარო.

ასევე, იგივე საკითხი რეგულირდება სასამართლოების შესახებ კანონით (1985), რომლის მიხედვითაც საჯაროობა საჭიროა სულ მცირე სასამართლო გადაწყვეტილებების მიმართ. აღნიშნული დებულება გამოიყენება, როგორც ზოგადი წესი ესპანეთის სასამართლოებში.

ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კანონის (2000), 212 მე-2 პუნქტის³ მიხედვით, გადაწყვეტილებები და სხვა განჩინებები, რომლებიც დადგენლია და საბოლოოა ამა თუ იმ სასამართლოს მიერ უნდა გამოქვეყნდეს კონსტიტუციითა და სხვა კანონებით განსაზღვრული წესით.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უნდა მიუწვდებოდეს ხელი გადაწყვეტილებებზე ან მათ ნაწილზე. ეს უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა უკავშირდება პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, ანონიმურობის უფლებას, პირებს,

¹ Julio Banacloche and Enrique Vallines 'Privacy and Public Access to Court Records in Spain', (Complutense University of Madrid, Spain) 4

² ესპანეთის კონსტიტუცია http://www.congreso.es/constitucion/ficheros/c78/cons_ingl.pdf

³ ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კანონი http://noticias.juridicas.com/base_datos/Privado/11-2000.html

რომელთა მიმართაც გამოიყენება მართლმსაჯულების სპეციალური წესი, და ასევე იმ შემთხვევებში თუ აღნიშნული ქმედება ხელს შეუშლის სასამართლოს ფუნქციონირებაში და/ან თუ გამოქვეყნებული ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის.

ასევე, დოკუმენტთა განსაჯაროებაზე უარის თქმის განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა საქმე ეხება ბიზნეს საიდუმლოებას ან იმ მოვალეობების განხორციელებას, რაც გულისხმობს მთავრობის მიერ თავისი კონსტიტუციური ვალდებულებების განხორციელებას.⁴

ესპანეთის კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით, საკონსტიტუციო, უზენაესი, საოლქო და პროვინციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა ნაწილი არის საჯარო და შეტანილია ოფიციალურ მონაცემთა ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში.⁵

სასამართლო გადაწყვეტილების ბაზაში შეტანამდე ხდება ე.წ დისოციაციის პროცედურის გავლა, რომელიც გულისხმობს პირადი მონაცემების წაშლას სასამართლო გადაწყვეტილებებიდან, აღნიშნული მონაცემების შეცვლა ხდება ფიქტიური აღნიშვნებით. ამ პროცედურის არსი, მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ საზოგადოებას ქონდეს ხელმისაწვდომობა სასამართლო გადაწყვეტილებებზე და მეორეს მხრივ დაცულ იყოს პირად მონაცემთა ხელშეუხებლობა. მაგრამ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მიეთითება მოსარჩელის სახელი, ესპანეთის შემთხვევაში მითითება კონკრეტული გადაწყვეტილების ნომერი და ზუსტი თარიღი. სხვა ინსტანციის სასამართლოებისაგან განსხვავებით, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება სრულად, ანონიმიზაციის გარეშე, ასევე სხვა დონის სასამართლოების გადაწყვეტილებების საჯაროობის ანალიზი აჩვენებს, რომ ესპანეთში უმეტეს შემთხვევებში საჯარო ხელმისაწვდომობისა და გამოხატვის უფლების პრინციპები ჭარბობს პირად მონაცემთა გაუმჟღავნებლობისა და დაცვის პრინციპს.⁶

ესპანეთში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის⁷ მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობაზე დაწესებულია შემდეგი შეზღუდვები:

- უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საჯაროა, შესაბამისი ანონიმიზაციის პროცედურების გავლის შემდეგ. სრულად ანონიმიზაციის გარეშე ქვეყნდება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

⁴ Open Society Justice Initiative, supra n 1

⁵ სასამართლოს გადაწყვეტილებების ონლაინ ბაზის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს იურიდიული დოკუმენტაციის ცენტრი (CENDOJ), რომელიც თავის მხრივ სტრუქტურული ერთეულის სახით შედის ესპანეთის იუსტიციის საბჭოში: www.tribunalconstitucional.es; www.poderjudicial.es

⁶ Julio Banacloche and Enrique Vallines, 'Privacy in Public Access to Court Records in Spain', Complutense University of Madrid, Spain p. 4 : www.affiliate.legaltechcenter.net/privacy/.../International%201.doc

⁷ https://www.agpd.es/porta/web/canaldocumentacion/legislacion/estatal/common/pdfs/Ley-15_99.pdf

https://www.agpd.es/porta/web/canaldocumentacion/legislacion/estatal/common/pdfs_ingles/Ley_Orgnica_15-99_ingles.pdf

